



საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N6 ტელ.: 2 98 20 94 (56 24 შიდა)

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
გადაწყვეტილების, განჩინების ასლების

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

ბს-715(კ-22)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას  
მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის N109

გეგზავნებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
პალატის 2023 წლის 27 იანვრის განჩინების ასლი.

მოსამართლის თანაშემწე

ანა თურმანიძე



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№მს-715(კ-22)  
რობაჩიძე მს-715(კ-22)

27 იანვარი, 2023 წელი  
ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მოსამართლეები: ქეთევან ცინცაძე, გენადი მავაჩიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საკასეო საჩივრის დასაშვებობის საფუძველების არსებობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 02 მარტის განჩინებაზე (მოწინააღმდეგე მხარე - მიხეილ რობაჩიძე).

ა დ წ ე რ ი ლ ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მიხეილ რობაჩიძემ 2018 წლის 20 დეკემბერს სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ „ქალაქ თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N119-ში მოქალაქე მიხეილ რობაჩიძის (პ/ნ 010030006487) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.34.048) განთავსებულ ავტოფარების შენობაზე საწებარითვო პირობების დარღვევით, მშენებლობის მწარმოებლის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით ამტკიცებული შენობის სრული დემონტაჟის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 დეკემბრის N45 2530 ზრმანების ბათილად ცნობის, ქალაქ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის N20 მითითების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელი მიხეილ რობაჩიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 დეკემბრის N45 2530 ზრმანება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 02 მარტის განჩინებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება.

პალატის მითითებით, სარჩელის უარყოფის ნაწილში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. ამდენად, სასამართლოს მსჯელობის საგნს წარმოადგენდა მხოლოდ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 დეკემბრის N45 2530 ზრმანების კანონიერების საკითხი.

სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არექსტრუქტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მიერ 2010 წლის 18 იანვარს გაბოცა №1 ბრძანება და №1 მშენებლობის ნებართვა ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N119-ში, მიხეილ რობაჩიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციისა და ავტოფარების ბოქსების მშენებლობის შესახებ.

მშენებლობის ნებართვა გასაჩივრეს მოსარჩელის მეზობლებმა: ნათელა, ელგუჯა, დავით, გოჩა, ხვიჩა ნიკოლეიშვილებმა, იზა დიბრაძემ და მოითხოვეს მისი გაუქმება. მათვე მიხეილ რობაჩიძისთვის რეკონსტრუქციის შედეგად ყოფილი პუროკომბინატის შენობაზე დაშენებული მესამე სართულის სამეზობლო საზღვრის მხარეს ნაწილობრივი დემონტაჟის და ფაქტობრივად ამტკიცებული ავტოფარების კედლების მილიანი დემონტაჟის დაგეგმვა მოითხოვეს. ნათელა, ელგუჯა, დავით, გოჩა, ხვიჩა ნიკოლეიშვილების და იზა დიბრაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული იქნა 2013 წლის 28 ნოემბერს.

მოსარჩელემ 2014 წლის 14 აპრილს, მშენებლობის ახალი ნებართვის გაცემის მიზნით, განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 ივნისის N296 ბრძანების საფუძველზე გაბოცა №26 საწებარითვო მოწმობა ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. N119-ში ავტოფარების ბოქსის შენობის მშენებლობის შესახებ. მშენებლობის ნებართვა ძალაში იყო 2014 წლის 30 ოქტომბრამდე.

ნათელა, ელგუჯა, დავით, გიზა, ხვიჩა ნიკოლინიშვილებმა და იზა ლიბრაძემ სხვა ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან ერთად დამატებით გაასაჩივრეს. ასევე, მიხეილ რობაქიძის სახელზე გაცემული მშენებლობის №26 ნებართვაც, მოითხოვეს მისი გაუქმება და მიხეილ რობაქიძისთვის ამენებელი ავტოფარების ბოქსების ნაწილობრივი დემონტაჟის დავალა. სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული იქნა 2016 წლის 22 მარტს.

მიხეილ რობაქიძემ 2018 წლის 09 ნოემბერს, მშენებლობის დასრულების მიზნით, ახალი მშენებლობის ნებართვის 6 თვის ვადით გაგრძელების მოთხოვნით, განმეზღვრებით შესამედ მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას. განმეზღვრებით მოუთხოვინა, რომ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 33.09.34.048, მდებარე ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N119-ში, აწარმოებდა ავტოფარების მშენებლობას 2014 წლის 25 ივნისის №296 ბრძანებისა და №26 მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, ერთი წლის ვადით. მშენებლობა მიგვანილი იქნა თითქმის ბოლომდე. დარჩენილი იყო სახურავის მოწყობა და მოპირკეთებითი სამუშაოები. განმეზღვრებულმა ადვოკატმა, რომ 2014 წლის 11 დეკემბერს მისთვის ცნობილი გახდა მის მეზობლად მცხოვრებ ნათელა ნიკოლინიშვილსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის შირის ზემოთ დასახლებულ მშენებლობის ნებართვის კანონიერების თაობაზე დავის წარმოშობის შესახებ. დავა გაგრძელდა სამევე ინსტანციის სასამართლოში, რასაც დასჭირდა თითქმის ორწლიანი დანახარები და დასრულდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, ხოლო ნებართვას, რომელიც გაცემული იყო ერთი წლის ვადით, დავის მიმდინარეობის პირობებში გაუქვია ვადა.

2018 წლის 12 ნოემბერს მოსარჩელეს ჩაბარდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის №20 მითითება, რომლის შესაბამისად მიხეილ რობაქიძეს ავტოფარების შენობის სამშენებლო დოკუმენტების (პროექტი, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის საწარმოო მოწმობა) ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა დაევა. მითითებაში მხარეს განეპირობა, რომ დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მის მიმართ გატარებული იქნებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიება. დარღვევის გამოუსწორების ვადად განისაზღვრა 3 (სამი) დღე.

მოსარჩელემ 2018 წლის 14 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს წერილობით განუცხარა, რომ სამშენებლო დოკუმენტაცია აღარ მოუპოვებოდა, ვინაიდან წარდგენილი ჰქონდა სასამართლოში და მოითითა, რომ მათი სრულყოფილი სახით მოპოვება შესაძლებელი იყო მერიის შესაბამის სამსახურში. განმეზღვრებულმა ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე აცნობა, რომ 2018 წლის 09 ნოემბერს მან უკვე მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

2018 წლის 20 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგა ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N119-ში მდებარე მიხეილ რობაქიძის საკუთრებაში არსებული ავტოფარების შენობის შემოწმების №20 აქტი, რომლის მიხედვით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დადგინდად მიიჩნია, რომ მიხეილ რობაქიძემ, 2014 წლის 25 ივნისის №26 მშენებლობის საწარმოო მოწმობაში მითითებულ ვადაში ვერ დაასრულა ავტოფარების მშენებლობა და ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში ვერ მოამზადა შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიღებისათვის უფლებამოსილი ორგანოში წარსადგენად, შედეგად, მოსარჩელემ დაარღვია საწარმოო პირობები (მითითება არ შესრულდა).

2018 წლის 20 ნოემბერს მიხეილ რობაქიძეს „პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ჩაბარდა №20 უწყება, რომლითაც ეცნობა, რომ ვალდებულ იყო გამოეზღვრებულყოფილ სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებულ საქმის განხილვაზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის - 2018 წლის 26 ნოემბერს, 12:10 საათზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის 5 დეკემბერს გამოცა №45 2530 ბრძანება „ქალქ თერჯოლაში, რუსთაველის ქ. N119-ში მოქალაქე მიხეილ რობაქიძის (პ/ნ 01003006487) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.34.048) განთავსებულ ავტოფარების შენობაზე საწარმოო პირობების დარღვევით, მშენებლობის მწარმოების დაჯარიმების და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობის სრული დემონტაჟის შესახებ“, რომლის მიხედვითაც „დგომლობი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „ე“ პუნქტის, „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტისა და „პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავდ კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მიხეილ რობაქიძე დაჯარიმდა 500 ლარით, როგორც საწარმოო პირობების დარღვევით მშენებლობის მწარმოებელი და ამავდროულად დაევა დაარღვევით ნაწარმოები მშენებლობის პირობების გამოუსწორება, მშენებლობის პირობების დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი - საკუთარი სახსრებით კანონმდებლობის დარღვევით წარმოებულ მშენებლობის სრული დემონტაჟის განხორციელება.

პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მრღებელია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ფარგლებში, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების 25-ე მუხლის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლის 25-ე მუხლის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება იწყება დარღვევის მიმართ მითითების გაცემით, რასაც მოჰყვება შემოწმების აქტის შედგენა, რა დროსაც მოწმდება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს ადმინისტრაციული ორგანო სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილებას. ამდენად, დარღვევის შემოწმების

აქტი მითითების შეუსრულებლობა „ბრალად“ შეიკავებება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა, რომ მხარემ უგულებელყო მითითების მოთხოვნები, განსახილველო საქმის მასალებით ირკვევა, რომ მიხილ რომაქიძემ 2018 წლის 12 ნოემბერს N20 მითითებით დაევალა წარედგინა მხოლოდ ავტოფარების შენობის სამშენაო დოკუმენტები - პროექტი, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სამშენაო მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ გაატარებული იქნებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიება. დარღვევის გამოსწორების ვადად განისაზღვრა 3 (სამი) დღე. მითითებით განსაზღვრულ 3-დღიან ვადაში, 2018 წლის 14 ნოემბერს, მიხილ რომაქიძემ მიმართა ადმინისტრაციული ორგანოს განცხადებით და აცნობა, რომ მოთხოვნილი სამშენებლო დოკუმენტაცია აღარ მოეპოვებოდა, რადგან წარდგენილი ჰქონდა სასამართლოში, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები ინახებოდა ამავე ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის სამსახურში.

2018 წლის 20 ნოემბერს N20 შემოწმების აქტში ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ არ შესრულდა მითითების პირობები, თუმცა დარღვევად დააფიქსირა არა განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარუდგენლობა, რაც მითითების პირობას შეადგენდა, არამედ ის ფაქტი, რომ მიხილ რომაქიძემ 2014 წლის 25 ივნისს N26 მშენებლობის სანებართვო მოქმედებაში მითითებულ ვადაში ვერ დაასრულა ავტოფარების მშენებლობა და მშენებლობის ვადის გასულიდან 1 წლის ვადაში ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვერ მოამზადა შენობა-ნაგებობა უფლებამოსიან ორგანოში წარადგენდა, რითაც დაარღვია სანებართვო პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არა მითითების შეუსრულებლობა, არამედ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყება შემოწმების აქტით, რისი კანონიერი საფუძველიც: „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე არ არსებობდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საზოგადოების აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება, ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, დიდწილად განპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობას და მიზანშეწონილობას. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მიიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უზენაესადგინებულ პროცედურულ ვალდებულებას - გამოკვლეოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დასაბუთოს კანონით გათვალისწინებული რა არსებითი სახის საფუძველი არსებობდა, რომელმაც განაპირობა კონკრეტული

გადაწყვეტილების მიღება. ამ გარემოების გარკვევა და დასაბუთება არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს მოსარჩელესთან მიმართებაში ადგილი ხომ არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (უფლებამოსილების გამხორციელება კანონის საფუძველზე) იმპერატიული დანაწესის დარღვევას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უზენაესადგინებელი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს/კანონიერი საჯარო მმართველობის სტანდარტის მიღწევას, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განსაზღვრულ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლევული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას საფუძველად დაედო მიხილ რომაქიძის განცხადება ახალი მშენებლობის წარმოების გაცემის თაობაზე, რომელშიც განმცხადებელი გარკვევით მიუთითებდა, თუ რა გახდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახლა მიმართვის საფუძველი, თუმცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერამ, ისე რომ არ ჩაუტარებია მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადებაზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და გამოიცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადებაზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების აუცილებლობა დადგენილი იყო სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით (პალადაკარგული საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის N139 დადგენილებით). ამავე დადგენილების 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამკვეთი მშენებლობის ნებართვის მისაღებად მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული ორგანოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა ავთოგრაფირდეს მითხოვნებს და ინფორმაციას მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის გათვალისწინებულ მითხოვნებს და ინფორმაციას მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ. დადგენილების 54-ე მუხლი კი ადგენდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესს, რომლის თანახმადაც მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

საქართველოს კანონით დადგენილი წესით (პუნქტი 1), მშენებლობის ნებართვის განცემი 3 დღის ვადაში ამოწმებს ნებართვის მამიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდაართული საბუთების ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ხარვეზის შემთხვევაში, ნებართვის განცემი მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული წესით (პუნქტი 2). მშენებლობის ნებართვის განცემი ვალდებულია გადაწყვიტოს ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღწეულ ამ დადგენილებით ნებართვის გაცემის ვადაში. უარის შემთხვევაში ნებართვის განცემი ვალდებულია განსაზღვრულ ვადაში, უარის შემთხვევაში ნებართვის განცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი მშენებლობის ნებართვის მამიებელს (პუნქტი 3).

ამდენად, მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით განცხადებაზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმცხადებლის მიერ მიითიებული გარემოებების გამოკვეთის არარსებობის გამო, საპელებიო სასამართლომ არ გაიზიარა მოვასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცება სადავო აქტის კანონიერების თაობაზე.

პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოება მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით და ადმინისტრაციული წარმოება სამშენებლო სამართალდარღვევასთან საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ორ დამოუკიდებელ წარმოებას წარმოადგენს და ერთი მთავრის გადაწყვეტა არ არის დამოკიდებული მეორეზე გადაწყვეტილების მიღებასთან. ამდენად, საფუძველს მოკლებულია ადმინისტრაციული ორგანოს პირობა, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოება ჩატარდება მხოლოდ დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ. მით უფრო, როცა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ფაქტობრივად დაივადა, მშენებლობის დემონტაჟი, ვინაიდან საწინააღმდეგო პირობების იმ სახის დარღვევა, რაც მშენებლობის დასრულების ვადის გასვლას უკავშირდება, არ შეიძლება აღმოიფხვრას ახალი მშენებლობის ნებართვის გაუცემლად („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-15 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება არის სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიითიების ან/და დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც არ საქმიანობს მშენებლობის ნებართვას).

მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო გამოარკვევდა განმცხადებლის მოთხოვნას, მის საფუძველად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ნაცვლად ამისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს, ვასუხიანებლობა დააკისრა იმ საწინააღმდეგო პირობების შეუსრულებლობისთვის, რომლის მოქმედების ვადაც ამოწურა სასამართლოში დავის მიმდინარეების

7

პერიოდში.

მიხილ რომეჩიძეს ვადაგასული ნებართვის საფუძველზე არ უწარმოებია რაიმე სახის მშენებლობა და შესაბამისი საფუძველების შეტყობისთანავე (მიხილ რომეჩიძე მიუითიებს, რომ სასამართლო დავის დასრულების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა 2018 წლის ოქტომბერში, საწინააღმდეგო მტკიცებულება კი საქმეზე წარმოდგენილი არ არის და აღნიშნული გარემოება არც ადმინისტრაციულ ორგანოს გამოუკვეთია სადავო აქტის გაშიცემის დროს) მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, რათა კანონიერად დაესრულებინა დაწყებული მშენებლობა, რომელიც 2010 წლიდან ვერ დასრულდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

პალატამ არ გაიზიარა საპელებიო სასამართლოს სხდომაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო 1 წლით და საწინააღმდეგო პირობების დარღვევის ათვლა უნდა დაიწყოს 2015 წლის 25 ივნისიდან. 2014 წლის 25 ივნისის №26 მშენებლობის საწინააღმდეგო მოწინააღმდეგო ნათლად აღნიშნული, რომ მშენებლობის ნებართვა ძალაში იყო 2014 წლის 30 ოქტომბრამდე, რაც შეეხება 1 წლიან ვადას, აღნიშნული ვადა წარმოადგენს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საწინააღმდეგო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 70-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას, რომელიც ნათქვამია, რომ მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი საწინააღმდეგო პირობა: ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში ექსპლუატაციაში მიღებისთვის მიმზადებული შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილი ორგანოში ექსპლუატაციაში მიღებისათვის. ამდენად, 2014 წლის 30 ოქტომბრამდე მოქმედი მშენებლობის ნებართვის პირობებში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისთვის მიმზადების ვადა მიხილ რომეჩიძის შემთხვევაში ამ ვადიდან 2015 წლის 30 ოქტომბერს და არა 2015 წლის 25 ივნისს. შესაბამისად, ამ პერიოდიდან ექვებოდა ადგილი საწინააღმდეგო პირობების დარღვევას, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის სასამართლოში დავა მშენებლობის ნებართვის კანონიერების თაობაზე დასრულებული არ იყო, იმ მშენებლობის ნებართვის კანონიერების თაობაზე სასამართლოში მიმდინარეობის ფაქტის მხედველობაში მოუღებოდა კი, რომლის პირობების დარღვევაც გახდა მიხილ რომეჩიძის მიმართ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი. პალატის მოსაზრებით, სასამართლომ ვალდებულია დაავსა სასამართლოში დასრულდა უზენაესის სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განჩინებით.

მართალია, ელფუჯა, დათო, ხეჩია, გოჩა ნიკოლეიშვილებისა და ოხა დიბრანის 2014 წლის საჩრელო წარმოებულ დავებ მიხილ რომეჩიძის სახელზე გაცემული 2014 წლის 25 ივნისის №296 ბრძანებისა და №26 მშენებლობის საწინააღმდეგო მოწინააღმდეგო მოქმედება შეჩერებული არ ყოფილა (სასამართლომ არ დაავსაყოფილა განმცხადებლის

8

მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სახით დასახელებული ნებართვის მოქმედების შეჩერების თაობაზე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად კი, ადმინისტრაციული საჩივრის ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ნებართვის გაცემის, მის გაწევაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება არ შეჩერდება, თუ ნებართვის გამცემი ან საჩივრის (სარჩელის) განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ანდა სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას), თუმცა დასახელებულ საქმეზე, გარდა მშენებლობის ნებართვისა, სადავო იყო აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთზე მიხილ რომაქიძის უფლების დამდგენი დოკუმენტებიც, რომლებზეც მშენებლობის განსახორციელებლად გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა და მიხილ რომაქიძე მონაწილეობდა ამ დავაში მოაასუხედ სარჩელის აღდგენის დღიდან - 2014 წლის 03 ივნისიდან. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მიხილ რომაქიძემ სასამართლოში დავის პერიოდში ამ აქტის საფუძველზე მშენებლობა არ განუხორციელებია, გონივრულია და არ შეიძლება აღნიშნული უქონქედობა მისთვის ვასუხისმგებლობის დავისთვის საფუძველი გახდეს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2018 წლის ნოემბერში, სასამართლოში დავის დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ (არ დასტურდება მიხილ რომაქიძის მიერ დავის დასრულების შესახებ უფრო ადრე შეტყობინების ფაქტი), იმ პირობებში, როდესაც უკვე გასული იყო ნებართვის მოქმედების ვადა, მიხილ რომაქიძემ მისართა ადმინისტრაციული ორგანოს ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სადავო პერიოდში მოქმედი, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებების 57-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამდენად, ახალი მშენებლობის ნებართვის მოთხოვნის თაობაზე განცხადების წარდგენისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების პირობებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებას წარმოადგენდა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა და გადაწყვეტილების მიღება ფაქტობრივ გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად. სათანადო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე გადაწყვეტილების მიღება კი მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თავისი ვალდებულების შეუსრულებლობაზე - საკითხის გადაწყვეტამდე გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 02 მარტის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

კასაციო ორგანო, რომ მოსარჩელემ ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. N119-ში მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სანებართვო პირობების დარღვევით აწარმოა ავტოფარების მშენებლობა, კერძოდ, მიხილ რომაქიძემ 2014 წლის 25 ივნისს N26 მშენებლობის სანებართვო მოქმედებით მითითებულ ვადაში ვერ დაასრულა ავტოფარების მშენებლობა, მან დაარღვია მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული

ვადები და ობიექტი ერთი წლის განმავლობაში არ იქნა მზად ექსპლუატაციისთვის მისაღებად. დაჯარიმების შესახებ სადავო ბრძანება გამოცემულია მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, მოქმედი კანონდებლობის სრული დაცვით. კასაციო ადინმწავს, რომ მიხილ რომაქიძემ 2014 წლის 25 ივნისის სანებართვო მოქმედებით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაასრულა მშენებლობა, ამ ვადის გასვლიდან ერთი წლის ვადაში მოსარჩელეს მუნიციპალიტეტისთვის არ მიუზმართავს ვადის გარემილების ან ახალი ნებართვის მოთხოვნით. კასაციო მიუთითებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილებების 20-90 მუხლებზე, რომლის შესაბამისად, დამკვეთი ვალდებული იყო მშენებლობის პროექტის 6 თვეზე მეტ ხანს შეჩერების შემთხვევაში, მოხდინა მშენებარე ობიექტის კონსერვაცია, რის შესახებ უნდა ეცნობებინა მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის. მოცემული შემთხვევაში, აღნიშნული მოსარჩელეს არ განუხორციელებია, ხოლო სასამართლოში საქმის წარმოება ამ ვალდებულების შესრულებისგან მიხილ რომაქიძემ არ ათავისუფლებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

**ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, საქმის მასალების შეიწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ ავბაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

- ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დამტკიცების ამომწურავ საფუძემდებებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასაციო დასაბუთების, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოდ მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე გადაწყვეტილების სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული

პრეპედიკაციას; ე) საპენალციო სასამართლომ საქმე განიხილა მეტერიალური ან/და საკრიმინო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შექმნილი არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) საპენალციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საპენალციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვეთრებული პრეპედიკაციასთან განხილვის არსებობის საფუძველით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიანადე არსებული პრეპედიკაციასთან განხილვის გადაწყვეტილების მიღების ვარიანტი. საპენალციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვის და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრეპედიკაციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასახულებს საპენალციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მეტერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს საპენალციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგზობული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, N7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61; Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Janike and Lembre v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე საპენალციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ საპენალციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა.

დადგენილია, რომ მიხედვით რომაქიძემ 2018 წლის 09 ნოემბერს განცხადებით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას. განმცხადებელმა მოუთხოვა №26 მშენებლობის

სანებართვო მოწოდების ვადის გასვლის შესახებ და მშენებლობის დასრულების მიხედვით, ახალი მშენებლობის ნებართვის 6 თვის ვადით გაცემა მოითხოვა.

ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის შემდეგ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2018 წლის 12 ნოემბრის N20 მითითებით მოსარჩელეს სამშენებლო დოკუმენტის პროექტთან ერთად, დაევალა მშენებლობის ნებართვისა და მშენებლობის საწვრთვო მოწოდების აღმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა. სამშენებლო სამართალდარღვევის სამ დღეში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განმცხადებელს განემატა პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის „ბ“ ქვეუბნით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების შესახებ. ხსენებული ნორმის შესაბამისად, სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო ობიექტებში განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

N20 მითითებით განსაზღვრულ ვადაში, 2018 წლის 14 ნოემბერს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს. განცხადებელმა მოუთხოვა, რომ სადავო მშენებლობის ნებართვა და საპროექტო დოკუმენტაცია წარდგენილია სასამართლოში და მასთან აღარ ინახება. N20 მითითებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოპოვება კი შესაძლებელი იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებში. ამავდროულად მოსარჩელემ მოუთხოვა მის მიერ, ახალი მშენებლობის ნებართვის 6 თვის ვადით გაცემის შესახებ, 2018 წლის 09 ნოემბერის განცხადებაზე და აღნიშნა, რომ ხსენებულ მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

მხარის ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ N20 მითითებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოპოვებულ იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ (ს.გ.134).

2018 წლის 20 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგა ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №119-ში მდებარე მიხედვით რომაქიძის საკუთრებაში არსებული ავტოფარების შენობის შემოწმების N20 აქტი, რომლის მიხედვით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დადგინდადი მიიჩნია რომ მიხედვით რომაქიძემ 2014 წლის 25 ივნისის №26 მშენებლობის სანებართვო მოწოდებაში მითითებულ ვადაში ვერ დაასრულა ავტოფარების მშენებლობა და ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში ვერ მოამზადა შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიღებისათვის უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენად, შედეგად, მოსარჩელემ დაარღვია სანებართვო პირობები. ამავდროულად, შედეგად აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მიერ მითითება არ შესრულდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წლის 5 დეკემბერს გამოცა №45 2530 სადავო ზრმანება, მიხედვით რომაქიძე დაჯარიმდა 500 ლარით, როგორც სანებართვო

პირობების დარღვევით მშენებლობის მწარმოებელი და ამჟამადროულად დაკვილად დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის პირობების გამოსწორება, მშენებლობის პირობების დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი - საკუთარი სახსრებით განიხილვების დარღვევით წარმოებული მშენებლობის სრული დემონტაჟის განხორციელება.

საკავაციო ვალატა მოუთითებს, რომ სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედებდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საწარმოთა პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება (მაღადავარგულთა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის N139 დადგენილებით), რომლითაც უწინარეთი მშენებლობადა მიიჩნეოდა მშენებლობის ნებართვის დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება საწარმოთა მოწყობით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ (დადგენილების მე-3 მუხლის 74-ე პუნქტი).

ვალატა მოუთითებს აგრეთვე სადავო პერიოდში მოქმედი პრიდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-15 მუხლის „რ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევა არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც ვალატისმგებლობა განსაზღვრულია ამ თავით, კოდექსის მე-15 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არის სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების ან/და დამრღვევითვის ამ თავით გათვალისწინებული ვალატისმგებლობის დაკისრების მიზნით ჩატარებული საქმის წარმოება, რომელსაც სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მიზნით დაამრღვევის მიზნით (კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწი). ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების (კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწი). მოითხოვს არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიზნით დადგენილების მიზნით (კოდექსის მე-15 მუხლის „დ“ სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება (კოდექსის მე-15 მუხლის „დ“ ქვ.კ.), ხოლო სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება გულისხმობს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიითითებს ან/და დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რომელიც არ საქართველოს მშენებლობის ნებართვის (კოდექსის მე-15 მუხლის „ტ“ ქვ.კ.).

საკავაციო ვალატა აღნიშნავს, რომ მოითითებთ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დარღვევას, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღსახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მოითითებს პირობებთან მიმართებით, კერძოდ,

მოითითებს შესრულდეს, მოითითებს არ შესრულდეს, მოითითებს არაადაროულად სრულდეს (კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწი). გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ, ზედამხედველობის სასასაბურთო N20 მოითითებთ მოთხოვდა მშენებლობის ნებართვისა და საქართველო დოკუმენტაციის ადმინისტრაციული ორგანოში წარმოდგენას, ხოლო მეორე მხრივ, დარღვევად დააფიქსირა არა განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარუდგენლობა, რაც მოითითებს პირობას შეადგენდა, არამედ ის ფაქტი, რომ მიხედვით რომელიმე 2014 წლის 25 ივნისის N26 მშენებლობის საწარმოთა მოწყობაში მოითითებულ ვადაში ვერ დაასრულა ავტოფარების მშენებლობა და მშენებლობის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვერ მოამზადა შენობა-ნაგებობა უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენად, რითაც დაარღვიოდა საწარმოთა პირობები.

საკავაციო ვალატამ სწორად აღნიშნა, რომ მიხედვით რომელიმე სახელზე გაცემული N26 მშენებლობის საწარმოთა მოწყობისა და მის მიწის ნაკვეთზე უფლების დამდგენი დოკუმენტების კანონიერების შესახებ სასამართლოში დავის მიმდინარეობის პირობებში, მიხედვით რომელიმე მხრივ მშენებლობის საწარმოთა მოწყობის გონივრული იყო და არ შეიძლება გახდეს მისთვის ვალატისმგებლობის დაკისრების საფუძველი. სასაბურთო ვალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მიხედვით, რომელიმე სასამართლო დავის დასრულების შესახებ 2018 წლის ოქტომბერში შეიქცყო, მაშინდემ კი, ვადაგასული ნებართვის საფუძველზე არ უწარმოებია რაიმე სახის მშენებლობა, მიუხედავად შემთხვევით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წამოყენებული არ არის დასაშვებო და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), მოვასუხებ სააგენტოს არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგო მტკიცებულება.

სასამართლოში დავის დასრულების შემდეგ, საწარმოთა მოწყობის მოქმედების ვადის გასვლის პირობებში, მიხედვით რომელიმე მხრივ, სადავო პერიოდში მოქმედი, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საწარმოთა პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 57-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართა ახალი მშენებლობის მოთხოვნის გაცემის მოთხოვნით. სასაბურთო ვალატამ სწორად აღნიშნა, რომ ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სასაბურთო ვალატამ სწორად აღნიშნა, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადებაზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების აუცილებლობა დადგენილი იყო სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი N57 დადგენილებით. ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე მიხედვით რომელიმე განცხადებაზე მოვასუხებ ადმინისტრაციული ორგანოს არ ჩაუტარებია შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, დააწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და გამოისცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკავაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენასთან დაკავშირებული პრიციპული სრულყოფილად ჩატარების



ვალდებულა, ერთი მხრივ, საჯარო წესრიგის, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო პირის უფლებების დაცვის მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სამშენებლო სამართალდარღვევის გამომწვევანაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარეობს ქმედების სწორი კვალიფიკაცია, რაც შეესაბამება მხოლოდ შესაბამისი ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ უტყუარად უნდა დაადასტუროს იმ გარემოებათა არსებობა, რომელთაგან განპირობებს კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენა, ამასთან საჯარო სამართალდარღვევა, თავისი შინაარსით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კანონით მიჩნეული ქმედების ნიშნებს. შუამდგომლობის მუხლად საფუძველზე პირის საქმეებისათვის, პირველ რიგში, მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დადასტურდეს ფაქტის არსებობა, ხოლო შემდგომ - საჯარო სამართალდარღვევის კავშირი ფაქტთან (სუს 2020 წლის 23 ივლისის №8ს-53(კ-20) გადაწყვეტილება).

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებით დადასტურებულია, რომ როგორც თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე შედამხედველობასა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 2010 წლის 18 იანვრის №1 ბრძანება და №1 მშენებლობის ნებართვა, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 ივნისის №296 ბრძანების საფუძველზე გაცემული №26 საწინააღმდეგე მოწმობა გასაჩივრდა სასამართლოში, რის გამოც ვერ შეძლო მიხედვით რომელიმე მშენებლობის ვადაში დასრულება. ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე დააჯარიმა მიხედვით რომელიმე საწინააღმდეგე მოწმობის დარღვევა/შეუსრულებლობისთვის, რომ საერთოდ არ შეუფასებია მითითებული გარემოებები, რაც ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებას - მხოლოდ შესაბამისი ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე დაადგინოს კონკრეტული სამართალდარღვევის არსებობა.

რაც შეეხება კასატორის მითითებას დამკვეთის მიერ მშენებარე ობიექტის კონსერვაციის სავალდებულებაზე, საკასაციო პალატა მოუთხოვს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საწინააღმდეგე პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილების 90-ე მუხლზე, რომელიც დამკვეთის მიერ მშენებლობის პროცესის 6 თვეზე მეტ ხანს შეჩერების შემთხვევაში, მშენებარე ობიექტის კონსერვაციის აუცილებლობას განსაზღვრავს, აღნიშნულის შესახებ მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმარტებული შესაბამის ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეტყობინების აუცილებლობას ადგენს. ამგვარ მუხლის მე-13 მუხლად შესაბამისად კი განსაზღვრულია, რომ ამ მუხლის მოთხოვნები გრძელდება მხოლოდ ამ დადგენილებით განსაზღვრული III, IV და V კლასების დაქვემდებარებაში მყოფი ნაგებობებზე, მათ შორის, ისეთ დანგრეულ, დამწვარ და ექსპლუატაციაში მისაღებად გამოუსადეგარ შენობა-ნაგებობებზე, რომელთა დემონტაჟი არ არის გათვალისწინებული. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 ივნისის №296 ბრძანების საფუძველზე გამოცემული და №26 საწინააღმდეგე

მოწმობის შესაბამისად, დადგენილია, რომ სადავო მშენებლობის ობიექტი წარმოადგენს II კლასის შენობა-ნაგებობას, რომელზედაც, შემოადინებულ ნორმათა შესაბამისად, არ ვრცელდება კონსერვაციის სავალდებულების წესი.

შემოადინებულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველს, მოცემულ საქმეს არ განაჩნია პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს - წარმატების პერსპექტივა. ამდენად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ო:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შერის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 02 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**თავმჯდომარე:**

**თამარ ოქროპირიძე**

**მოსამართლეები:**

**ქეთევან ცინცაძე**

**გენადი მაკარიძე**

